

რედაქცია
 გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურხან. ბა-
 ტონის სახლებში კლუბის ქვემოლ.
 ხელის-მოწერა
 მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში,
 ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გა-
 რეუ შე მცხოვრებთა ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ,
 ВЪ РЕДАКЦІЮ «ДРОБНА»
 «დროების» ფასი
 მთელი წლისა... 9 მ. სამის თვისა... 3 მ.
 ექვსის თვისა... 5 მ. ერთის თვისა... 1 მ.

დროება

ბავოლის უძველ დღე მრუბათს ბარდა.

უსანი განცხადებისა
 დიდის ასობით — ასობით — განცხადებ-
 მთავრულით ასობით ნახევარ-საუკუნე-
 რიგის ასობით სტრუქტურა რვა კაპ.
 თუ საქმეობა მოითხოვს, რედაქცია გაას-
 წორებს და შეამოკლებს დასაბუთებად გამოგზავ-
 ნილ წერილებს. დაუბეჭდვლად წერილებს რე-
 დაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.
 განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და
 სხვა ენებზედ.
 ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შუერი

ჭიდაობა
გლდანაღისა
 და თეირანდინ მოსკოლის გა-
 მოჩენილის ფალავანის
ნაზაროვისა
 ავღრის გამო. ვადიდვა
 და იქნება **იტალიის** ბაღში
 დღეს, პარასკევს, 17 თებთვეს
 საღამოს ექვს საათზედ.

ტელეგრაფი
 (წარდილოთ ტელეგრაფის სააგენტოსი.)

ლონდონი. სანიტარულს გამო-
 სიას დამიერებში გადუწვევტია, რომ
 ის განპირებული ავადმყოფობა,
 რომელიც აქამდე მარტო სახადი
 ეგონათ, ხოლვერა უოფილა.

პეტერბურღი, 15 ივნისს. ლამანს-
 კის წასლვა ვოლვის ქალაქების-
 გენ საფინანსო თხზულების მასა-
 ლების შესაგრებად, რომელიც
 ამას წინათ გაზეთებმა შეგვატო-
 ბინეს, არ გამართლდა.

პეტერბურღი, 15 ივნისს. მართებ-
 ლობამ გამოაცხადა პირობები იმ
 თანხმობისა, რომელიც მოხდა
 ჩვენს მართებლობას და რომის
 საეკლესიო კურისა შუა ქათალი-
 კური ეკლესიის შესახებ რუსეთში.
 პაპამ უნდა გამოსცეს ბულია, რომ-
 დის ძალითაც კელეკის ეპარხია
 მოჭმორდება კრაკოვისას, აქამდე
 გაუქმებულ ეპარხიებში დაინიშნე
 ბიან: მინსკისაში — მოშლევისკის არ-
 ხიევისკოვოსი; კამენცკში დუცკო-
 ვიტმირისა და პოდოლსკში-ლიუბ-
 ლინისა, უმაღლესი ზედამხედვე-
 ლობა საქათალიკო სასწავლებ-
 ლებზედ ექნება მართებლობას.
 დიდი მნიშვნელობა უფრო იმასა
 აქვს, რომ პაპა დაჰყბებდა რე-
 სული ენისა, ლიტერატურისა და
 ისტორიის სწავლების კანტრო-
 ლის უფლება მართებლობასა
 ჰქონდეს.

გრაფი ლორის-მელიქოვი დაეთ-
 ხოვა რუსეთსა და საზღვარ გარეთ
 საცხოვრებლად მინამ მორჩებო-
 დეს.

თბილისი, 16 ივნისს.
 ღღეს ჩვენი გაზეთი პედაგოგიურ-
 ფურცელს დაემზავს: იბეჭდება ვრცე-
 ლი ანგარიში თბილისის სათავად-აზ-
 ნაურო სკოლისა, წერილი რედაქ-
 ციისადმი სოფლის მასწავლებლისა,
 ახალს ამბებში ცნობები თბილისისა
 და ქუთაისის გიმნაზიაში კურს-გათა-
 ვებულებზედ და ბოლოს ეს მოწინა-
 ვე წერილიც იმავე საგნის შესახებ.
 მხოლოდ სასამართლოს ქრონიკა
 თითქო კონტრაბანდით შემოგვეპარა
 და კიდევ ორიოდ ახალი ამბავი იმ
 ცეცხლის თაობაზედ, რომელმაც ისე
 გადაბუგა ქალაქის საქმეები, როგორც
 სრულ-წლოვანებისა, ისე მცირე-
 წლოვანებისა და მეტადრე უფრო
 ობლებისა.

და ან რა გასამტყუნარნი ვართ.
 შალა გათავდა ესრედ წოდებული
 აკადემიური წელიწადი, ერთის კლა-
 სიდამ და განყოფილებიდა მეორეში
 გადავლენ შეგირდები შემდეგ წითე-
 ლის მაუღის წინაშე წარდგომისა
 და ყოველივე სასწავლებელი წლის
 ანგარიშს აძლევს. როცა რაც თავის
 უფროსებს, ისე საზოგადოებას.

ქუთაისის გიმნაზიაში კურს-გათა-
 ვებულია ბარის ქართველების რიცხ-
 ვი ქარბობს, მაგრამ თბილისისა კი
 42 (ორმოც-და-ორს) ატესტატ-მი-
 ლებულ შეგირდზედ მხოლოდ 4
 (ოთხი) ქართველია! ამ სახიარ მო-
 ვლენაზედ დიდი ხანია რაც მიქცეუ-
 ლია ჩვენის ქურნალ გაზეთებისა და
 საზოგადოების ყურადღება, მაგრამ
 ჯერ-ჯერობით შევლა არსაით-რა
 სჩანს. მაშ ქუთაისის გიმნაზია ყო-
 ფილა უფრო მკვიდრი საბუღარი ქარ-
 თველ მოსწავლეებისა და დღეს გენ-
 და მოვილაპარაკოთ იმ უმზავსოე-
 ბაზე, რომელმაც ამ ბოლოს დროს
 თავი იჩინა ამ გიმნაზიაში.

ჩვენს მკითხველებს ესსომებათ, რომ
 ქუთაისის გიმნაზიის შეგირდებმა უპა-
 ტიურება მიაყენეს თავიანთ მასწავ-
 ლებლებს. მიზეზი ამ ამბისას სხვა-და-
 სხვას ამბობენ. ზოგნი აბრალებენ
 იმას, რომ მასწავლებლები ვერ იც-
 ნობენ თავიანთ მოწაფეების ბუნებას
 და ხშირად გაუფთხილებლობით შეუ-
 რაცყობას აყენებენ ახალ-მოზარდის
 ბავშვის იმ გვარ გრძნობას, რომე-
 ლიც ყველასაგან პატივსადები უნდა
 იყოსო. ზოგნი იმას აბრალებენ, რომ
 შეგირდები მთელის წლის განმავა-
 ლობაში არასა სწავლობენ, ალალ-
 ბელზედ ვადიან ეგზამენების «დასა-
 კერად» და რაკი «იჭრებიან», მასწავ-
 ლებლებზედ ჰყრილობენ ჯაერსა და
 აკადრებენ იმას, რაც არ უნდა ეკა-

დრებოდეს არც ერთს სულიერს,
 რომელსაც კი ადამიანის სახე სძევს.

ჩვენ პირველის მიზეზის განხილვას
 არც შეუვლდებით და ვერც შეუვლდებ-
 ბით, და მეორეს კი ჩვეთვლით უმთავ-
 რეს დამაბრკოლებელ მიზეზად ქარ-
 თველობაში სწავლა-განათლების გა-
 ვრცელებისას. სწავლა ერთად-ერთი
 ღონის-ძიებაა, რომელსაც შეუძ-
 ლიან ხალხი ფეხზე წამოაყენოს
 და ვინც ამ საქმეს როგორმე და
 რითმე ხელს უშლის, ის უნდა
 ჩაითვალოს საზოგადოების მანებელ
 წვერად.

რად დავმალეთ, შეიძლება გიმნა-
 ზიის კურსი მეტის-მეტად სამძიმო
 იყოს ნორჩის ყმაწვილებისათვის,
 მაგრამ ჯერჯერობით საქმე ისეა
 მოწყობილი, რომ კაცმა თუ
 ეს ცოდნა არ შეიძინა, სხვა სა-
 სარგებლო ცოდნას ვერ შეიძინებს და
 ხშირად ამ გვარს შემთხვევაში პატა-
 რა მსხვერპლის მოტანა აუცილებ-
 ლად საქარო ხდება.

შთქვათ, რომ რომელიმე მძიმე და
 უსარგებლო საგნის შესწავლა
 ქართველებმა თავი დაანებოს სწავ-
 ლას და არ შეიძინოს ის სასარგებლო
 ცოდნაც, რომელსაც ჩვენს სასწავ-
 ლებლებში ასწავლიან. რა მოგველის
 მაშინ? სწავლითა და ცოდნით შე-
 ჰურვილნი სხვა ჯურის ხალხნი ხე-
 ლიდამ გამოგვაცლიან ყოველსავე
 ჩვენს საკუთრებას, ქვიშაზე დაგვსმენ
 და თუნდა კიდევ დავა ავუტყობთ,
 რას გავხდებით ხელცარიელნი მეცნიე-
 რების მჭრელის იარაღით შეჭურვი-
 ლებთან.

ნუ თუ ეს მომავალი უნდათ ჩვენ-
 თვის იმათი ვინცა ჰქადაგობს, რომ
 ჩვენი ყმაწვილ-კაცობა ვერ აიტანს
 ეხლანდელის სწავლის მძიმე ტვირთს
 და სჯობს სწავლას თავი დაანებოს.
 ნუ თუ ეს უნდათ იმათ, რომელნიც
 გაზარმაცებულებს მასწავლებლების
 წინააღმდეგ აქვებენ და შორილამ
 ვაშა, ვაშას უყვირიან!

თამამშოვის ქარვასლას, რომ ცე-
 ცხლი წაეკიდა და თბილისის შესა-
 ნიშნავე თეატრი გადიბუგა, ჯერ, მგო-
 ნია, იმაზედ მომეტებული ზარალი
 ცეცხლს არ მოუტანია ჩვენი ქალა-
 ქისთვის; მაგრამ ის ზარალიც კი ისე
 საგრძნობელი არ იყო შედარებით
 იმ ვნებასთან, რომელიც მოიტანა
 ცეცხლმა მ-ს ამ თვისას ღამე აღბა-
 ბოვის სახლის გადაწვით. შობილე-
 დოვის სკოლაშუბის ახრი, რომ
 ცეცხლით გადაწვამ მოსკოვი გაამშვე-

ნიერაო, ეხლაც სულელურად მიჩი-
 ნიათ, მაგრამ თბილისის გამშვენიე-
 რებას კი, ღვთის წინაშე, ცეცხლი
 ბევრს ჰშველის. ალაბაბოვის სახლი
 ძველი შენობა იყო; ეხლა საზღვე-
 ველი საზოგადოებიდამ პრემიას მიი-
 ლებს და უეჭველია უკეთეს სახლს
 წამოსჭიმავს, აგრეთვე — ტოლღე,
 რენიე და სხვანი, რომელთაც მალა-
 ზიები დაეწოთ, უკეთესს მალაზიებს
 გაჰპართავენ, მაგრამ რა ეშველება
 იმ ზარალს, რომელსაც ვერც ერთი
 საზღვეველი საზოგადოება ველარ შე-
 აკებს? ალაბაბოვის სახლში, რო-
 გორც მოგვხსენებათ, რალაც საუბე-
 ღუროდ, ერთად იყენენ მოქცეული:
 ქალაქის საბჭო (дума), ქალაქის გამ-
 გეობა (управа) და საობლო სასა-
 მართლო. ქალაქის მართველობამ, ბ.
 აღდათოვის წყალობით, რომელიც
 თავ-გადაღებულია და ერთგული მო-
 სამსახურე ქალაქისა, თუმცა ჭრაკია-
 ნი პრუთინეები ბევრს დასცინიან —
 რუსული კარგად არ იციო — ზოგი-
 ერთი დოკუმენტები და კასა თითქმის
 უწებლად გადაარჩინა, მაგრამ ობ-
 ლების საქმეები კი მთლად ნაცრად
 აქცეულა. —
 თბილისის ისტორიაც, რადგანაც თბი-
 ლისის ძველი არხიეიც იქ ინახებო-
 ლა.

პირველი კითხვა, რომელიც კაცს
 თავში გაუფლევებს, არის: ვინ არის
 დამნაშავე, ვისი ბრალია ეს ამოდენა
 აუყენებელი ზარალი? თავი და თავი
 მიზეზი ამ უბედურობისა არის გაუ-
 ფთხილებლობა, ის დაუდევრობა,
 რომელიც საზოგადოდ გვეჭირს და
 მინამ უბედურობა კარხედ არ მოგვა-
 დგება, თვალებს არ გავაჭყეტთ. მ-
 ლა დამტკიცდა, რომ ალაბაბოვის
 ეხლანდელ მოკრული ყოფილა სხვის
 სარაია, რომელშიაც თივა და ხმელი
 მასალა წყობილა. პირველად ცეცხ-
 ლი ამ სარაიას გაუჩნდა და აქედამ
 მოედო ალაბაბოვის სახლსაც. სად
 იყო ქალაქის მართველობა თავის
 არხიტექტორებით, რომელნიც მარ-
 ტო ჯამაგირის აღებაზედ არიან ფხი-
 ზელნი, რომ ერთხელი არ შეიხედეს
 ამ სარაიაში? მართალია ჩვენებური
 ჰაეა ისეთია, რომ უბალკონო სახლი
 არ შეიძლება, მაგრამ რატომ ქალა-
 ქის შენობების ზედამხედველი კამი-
 სია ყურს არ უვდებს, რომ წესდებას
 არ არღვევდენ და დიდრონ შენობე-
 გში მაინც ხის მასალა ცოტა იყოს?
 ამისთანა დიდრონ სახლებსაც კი,
 სადაც მდგმურები ასობით არიან,
 როგორც ზუბალოვისა («მკროპის»
 სასტუმრო), მირზოვისა («მავკაზის»
 სასტუმრო) მუხრანსკისა და სხ. მრ-

ამხნეებს. ამანაშავით სკამებზე მსხდომთ ბრალდებულთ კი მეტად აწუხებს გარეთ ჩასაფრული შტიკე-ბიანი სალდათები რომელნიც გამოქანდაკებულბესავით მისჩერებიან უკანასკნელებს. ბაიდა სამი მეოთხედი საათისა და მოისმა მსაჯულთ ოთახიდან ზარის წკარუნი. ამა თითონაც გამოჩნდენ და თავიანთი ადგილები დაიჭირეს.

ხალხის მოუთმენლობას სამზღვარი არა აქვს. ჩამოვარდა სრული მყუდროება, მაგრამ ბევრის ფშვენა და გულის-ძვერა ამ მყუდროებას არღვევს. მსაჯულებმა ხალხს თვალი გადაავლეს და რა მოისმა სამსაჯულოს თავმჯდომარის ხმა, ყველა სმენად გარდაიქცა და რა თავმჯდომარემ განჩინების კითხვის დროს წარმოსთქვა სიტყვა «считать оправданными» (გამართლებულ იქმნენ), იგრილა მაყურებელთ ტაშმა და აღარ დააცალა დაბოლოება დანარჩენი სიტყვებისა: ერთ-ხმად ყვირილი და ტაში: «Да здравствует правосудие! Да здравствует Гардиевский!»

ძიქინით წაქეზებული ხალხი მივარდა გამართლებულებს, ყველგან სიხარულის ქვითინი ისმის და ყველას ეტყობა სიხარულის კრემლები, ჰკოცნიან და ულოცავენ ყველა გამართლებულს; მივარდნენ ზარდივესკის და გამოიყვანეს ხელით გარეთ იმავე კიქინით. წარმოუდგენელია გამართლებულთ აღელვება და სიხარულის კრემლებით ქვითინი; ბევრიც გამართლებულებთან ქვითინებენ; ამ ყოფით გამოიყვანეს გამართლებულები და ჭაეტონებით გააქანეს სახლებისაკენ; თუმც წესისამებრ გამართლებულები საპრობილში უნდა წაეყვანათ და იქიდან სამსაჯულოს მიწერილობით უნდა განთავისუფლებულიყვნენ, მაგრამ ხალხმა ეს არ მოინდომა და არ დაანება გამართლებულები სალდათებს.

ამ აღელვებულ ხალხში ერთის თვალის გადავლებით შენიშნავდით, რომ მოწმებთ მოწვეული პოლიციის მოხელეები, რომელნიც ამ ორის წუთის წინად ისე გამხნეებულნი წვერ-ულვასზე ხელს ისვამდენ—თითქო უჩინ-მაჩინის ქულები ჩამოაცვესო, ისე გაჰქრენ. ბევრნი, იურისპრუდენციის მკოდნენი ამბობდენ, რომ ყოველად სამართლიანთ დაადგინეს და ასეც უნდა დაედგინათო, მაგრამ როცა ხალხში გავარდა ხმა, რომ ყველა მსაჯულები ერთ-ხმად დათანხმებულან და ბატ. პროკურორიც განთავისუფლებულბეს ულოცავდა განთავისუფლებას, ამ დროს სიმართლეში დაჯერებულმა ხალხმა უმეტესი კიქინა დასცა. შევლა «მადლობა ღმერთის» თქმით შინსკენ მიეშურება, რომ დანარჩენებს ამ ამბავზე დაუსწრობლებს შეატყობინოს ეს სასიამოვნო ამბავი, განუზიაროს თავისი ალტაცება.

შემდეგ ამ ამბისა, მეორე დღეს, ბათუმის ინტელიგენციამ ოც-დაათ კაცამდე ხელის-მოწვევით გაუმართა

საუზმე მსაჯულებს მუსიკით და თავისი ღრმა პატივისცემა გამოუცხადა და ვზა დაულოც. საუზმის დროს დალიეს «ურას» ყვირილით ყველა მსაჯულების და ბატ. პროკურორის სადღეგრძელოები; თავმჯდომარეს უთხრეს მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც გამოაბატეს მართლ-მსაჯულების მაღალი მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში, გამოუცხადეს ღრმა სიხარული მათს დადგენილ განჩინებაზე. თქით თავმჯდომარემ ბატ. ტუტევიჩმა და ბატ. ლიდოვმა ცალ-ცალკე მოკლე სიტყვის თქმით დალიეს დამსწრეთ სადღეგრძელო და სთქვეს: ჩვენ ჩვენი პირ-და-პირი დანიშნულება და ვალდებულება აღვასრულეთ და ამდენი თანაგრძნობა თქვენი ჩვენ არ დაგვიმსახურებიაო. ბოლოს ბ. ტუტევიჩმა დალია სადღეგრძელო ბატ. ზარდივესკისა, რომელიც დამსწრეთ ერთ-ხმად «ურას» ძახილით განიმეორეს. ბატ. ტუტევიჩმა სთქვა ბ. ზარდივესკისზე «დიად ქეშმარიტად აღასრულეთ თქვენი მოვალეობა და სენილისიანად გაგიგიათ თქვენი საქმეო!»

საუზმიდან წამომლილმა ხალხმა მუსიკით მიაცილა მსაჯულები და ამ გაცილებასზე დაესწრენ პოლიციის წარმომადგენლებიც და შორიდან უყურებდენ, რომ არაფერი უწესობა(!) არ მომხდარიყო(!)...

რა ვაისტუმრეს ძვირფასი სტუმრები ბათუმისა, ამათვე და ბევრმაც სხვამ გაუკეთეს სადილი ამავე დღეს ბატ. ზარდივესკის სადაც ბევრნი სიტყვები და სადღეგრძელოები ითქვა! სამხედრო მუსიკის გრიალი ბევრს ლახვარით ესობოდა გულზე და ბევრსაც ამხიარულებდა.

შოველ ამის შემდეგ დაგვრჩენია ორიოდ სიტყვაც ჩვენც მოგახსენოთ, ამ საქმის თაობაზე. რა იყო ამდენი აყალ-მაყალი და ამდენი მოძრაობა ხალხისა? რას უნდა დაბრალდეს, ანუ რისგან უნდა წარმოსდგებოდეს ზოგისა ამდენი ზომამდე გადაცილებული მხიარულება და ზოგისა ესეთი წყენა? ამასა გვკითხავს საქმის გარემოების დაწვრილებით უცოდინარი მკითხველი! იქნება გვითხრან კიდევ,—ნუ თუ ასე შესანიშნავ პირნი არიან ეს გამართლებულები, ან გამტყუნებულად დარჩენილები ბათუმელების თვალში?! ამაზე მოგახსენებთ, რომ გამართლებულები ბათუმელიებისათვის არაფრით შესანიშნავნი არ იყვნენ. თუ ვინ არიან ამ საქმეში დამარცხებულები, ამის გამოვრება არ დამჭირდება, ამას თქვენ თითონ შეიგნებდით!..

ბოლოს ვიკითხავთ,—ჰქონდა ბერს ამისთანა საქმეების ჩადენის საფუძველი და მიზეზი თუ არა? აი რა არის გასარჩევი, სული ამ საქმისა?—რომ არ ვიცოდეთ ბერსის სისუსტე და ისიც, რომ თითონ ბერსია უპირველესი მიზეზი თავის შინაურულ ცხოვრების უბედურებისა, მაშინ ბერსს გამამართლებელი საბუთად ის ექნებოდა, რომ იმისთანა ყოფაში ჩა-

ვარდნილს კაცს წესიერება და გულგრილობა არ მოეთხოვება; ბერსსაც ვთქვამდეთ კაცი თავსა სდებს ყველურის ჩასადენად თუნდ ეს შემდეგ მისთვის უფრო მიწასთან გამასწორებელი იყოს; მაგრამ რა სჯობდა ბ. ბეგენავს? რომ ააღლევა ბ. ზაიანი? მინ შეაწუხა ბ. ბაბუნი? მინ დაურღვია საიდუმლოება ბ. შადავს? რამ გამოიწვია ბ. სურგულაძე? მისი მატრაკვეცა იყო იუნკერი ბაქირაღა? მინ რა უყო დანარჩენებს, რომ ასე თავგანწირულები დონკიხოტივით არც სხვასა და არც თავიანთ თავს აღარა ზოგავდენ? ნუ თუ იმან რომ ბ. ბერსი მათი უფროსი იყო? ნუ თუ მათი ცხოვრება ბერსის შინაურულ საქმეებზე იყო დამოკიდებული? ნუ თუ ამ ბატონებმა, რომელნიც ხალხის ბედს ხელში ატრიალებენ, არ იცოდენ, რომ ბერსის უფროსობა ვალად არ სდებდა მათ ბერსის სახლობის საქმეებში ჩარეულიყვნენ, რომ მათს ხელში მოქცეული პოლიციის ძალა ხალხისთვის უნდა მოეხმარებინათ და არა ბერსის შინაურ საქმეებისათვის? ნუ თუ არ იცოდენ, რომ უფროსების ამ გვარი უკანონო მოთხოვნილება, თუ გინდ ეს მართლაც მას ეთხოვოს—მათთვის სავალდებულო არ არის?

თუ ყველა ამ კითხვას პასუხი ელირსება მაშინ ეს ჩამოთვლილი პირები დამანაშავთ სკამებზე უნდა დასხდენ და ბატონი ბერსი დანარჩენებით მოწმების სკამზე. აი ეს იქნება ქეშმარიტი და ყველასაგან თანაგრძნობის ღირსი სამართალი!..

ლ. უფლო

ბათუმი 1 ივნისს.

ანგარიში*)

თბილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა საზოგადოების შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის გამკე კომიტეტისა, 1882 წლის ჰირველის ანგარიშგან 1883 წლის ჰირველს ანგარიშად.

- წარსულის წლის ანგარიშით საზოგადოებას დაჩხა — — — 4,539 მ. 60 კ.
- მას აქეთ კასში შემოკიდა:
- ა) თბილისის საადგილ-მამულა ბანკიდან 20,000 მ.
- ბ) საზოგადოების წევრთაგან — — — 34 მ.
- გ) ბაღდადგან, რომელიც გამკე კომიტეტმა გამართა წარსულის წლ. ანგარიშს — — — 1,304 მ.
- დ) საკუთარს ხარჯზედ მეოფის პანსიონერებისგან — — — 4,785 მ.
- ე) გარედგან მოსიარულე მოწავლეთაგან სწავლის ფული — — — 195 მ.
- ვ) წვრილმანა შემოსავალი — — — 147 მ. 23 კ.

- ზ) ფულის საზრებელი 186 მ. 20 კ.
- სულ ერთად 51,141 მ. 23 კ.
- 1883 წლის 1 ანგარიშგან 1 მისამდე კასსაში შემოკიდა:
- ა) საზოგადოების წევრთაგან საწევრო ფული — — — 80 მ.
- ბ) პანსიონერებისაგან — — — 2,675 მ.
- გ) ბაღდადგან, რომელიც გამართა გამკეებამ მამ წლის ანგარიში — — — 1,347 მ. 20 კ.
- დ) წვრილმანა შემოსავალი — — — 19 მ. 36 კ.
- ე) კერძო შემომწირველებისაგან:
- ა) საიდუმლო პირის საგანს — — — 3,100 მ. გიარბის ფურცლებით.
- ბ) ბარბარე ანდრიკესისაგან მოსახსენებლად მისის ქალისა ნინოსი — — — 600 მ.
- სულ 7,821 მ. 56 კ.
- მათში 3,700 გიარბს ფურცლებითა და 4,121 მან. 56 კ. ნადდის ფულითა. სრული შემოსავალი 35,262 მან. 59 კან. ფულად და 3,700 გიარ. ფურცლებით ამ ფულიდამ 1882 წლ. ჰირველის ანგარიშგან 1883 წ. ჰირველს ანგარიშად დაიხსნა:
- ა) სკოლის სახლის ქირა — — — 2,250 მ. *)
- ბ) სახლის რემონტი — — — 83 მ. 70 კ.
- გ) მოსწავლეთა სმა-ჩამა — — — 5,020 მ. 60 კ.
- დ) მოსწავლეთა ჩაცმადსუკა — — — 2,411 მ. 49 კ.
- ე) ინსპექტორის, მისწავლებლების, აღმწვდელების, კვანძკასი და ექიმის ჯამგირი — — — 5,976 მ.
- ვ) სკოლის მოსამსახურეთა ჯამგირი — — — 965 მ. 33 კ.
- ზ) სასწავლო ნივთების და წიგნების სუიდა — — — 882 მ. 62 კ.
- წ) საკლასო ნივთები — — — 402 მ. 35 კ.
- თ) სკოლის ბაბლითუქის წიგნები — — — 24 მ. 97 კ.
- ი) სკოლის გათბობა და განათება — — — 1,587 მ. 55 კ.
- ია) სკოლისათვის საჭირო აკვუქულობის სუიდა — — — 136 მ.
- იბ) პანსო მოსწავლეთათვის და სარეცხი — — — 688 მ. 76 კ.
- იგ) ახლად მიღებულ პანსიონერებს ლოგანი — — — 214 მ. 70 კ.
- იდ) სკოლის საავადმყოფოს შენახვას — — — 287 მ. 56 კ.
- იე) წვრილმანა ხარჯი — — — 437 მ. 11 კ.
- ივ) განცელოარის ხარჯი — — — 60 მ.
- იზ) ჩუენის სკოლისა და სხვა სასწავლებელთა დარბო მოსწავლეთა შემწეობაზე — — — 1,877 მ.
- სულ ერთად 23,306 მ. 11 კ.
- 1883 წ. 1 ანგარიშს საზოგადოების კასაში დაჩხა — — — 7,834 მ. 92 კ.

*) წარსულის წლის სახლის ქირის ნახევარი 2,250 მან. სახლის პატრონს წინედ ჰქონდა მიღებული.

მეფის პირველი მადლობის ბიულეტენი — 4,121 მ. 56 კ. ფულად და 3,700 მ. გირანს ფურცლებით.

მასწავლებელთა საზოგადოებაში იყო ფულად — 11,956 მ. 48 კ. და გირანს ფურცლებით 3,700 მ. ამ ფულიდამ 1883 წელს 1 ანგარიშამ მასის 1-მდე დაისრულა — 10,383 მ. 70 კ. დასრულდა საზოგადოების კასაში ფულად — 1,572 მ. 78 კ. გირანს ფურცლებით 3,700 მ.

სულ ერთად 5,272 მ. 78 კ. ეს მხრითი წელიწადი, რაც ჩვენი სკოლა დაარსდა და ამ წინს განმავლობაში იგი ნელ-ნელა მატულობდა: კმატობდა მოსწავლეები და მოსწავლეებში, მასწავლებლები და გაჩნდა მოსწავლე უმაწვილები. შარშან სკოლა შესდგებოდა ოთხ განყოფილებას: მოსწავლეებში კლასიფიკაცია. პირველ განყოფილებაში სწავლობდა 48, მეორეში — 33, მესამეში — 30 და მეოთხე განყოფილებაში 28 უმაწვილი. წასრულის წლის მასის განსწავლეს ჩვენი სკოლის წესისამებრ, კომიტეტის და საზოგადოების წევრთა თანდასწრებით, ყოველ ამ განყოფილებაში მოხდა კვანძები, რომლის შემდეგ ერთი კლასიდან მეორეში იყვნენ გადაყვანილი მოსწავლეები ინსპექტორის და მასწავლებლების კონსულტაციებით მეოთხე განყოფილებაში 28 მოსწავლიდამ გემინაზიურ პირველ კლასში 18 უმაწვილი, ათი კი დარჩა. მესამე განყოფილებაში 30 მოსწავლიდამ მეოთხე განყოფილებაში გადავიდა 21, ცხრა კი დარჩა. მეორე განყოფილების 33 მოსწავლიდამ მესამეში გადავიდა 23, ათი დარჩა. პირველ განყოფილების 48 მოსწავლიდამ მეორეში გადავიდა 40, რვა დარჩა. მასწავლებელთა ოც-და-ჩვიდმეტი უმაწვილი დარჩა ისევე თავიანთ განყოფილებაში.

წასრულის წლის სექტემბრის პირველ რიცხვს კომიტეტმა მიიღო 34 ხაზი მოსწავლე, წასრულის წლის მოსწავლეთაგან ჩვენს სკოლას თავი დანება სამმა მოსწავლემ და ხუთს სწავლებაში გადავიდა, ამ უმაღლეს მოსწავლეებში კლასში სწავლობდა 150 უმაწვილი, ამათგან 30 პირველ განყოფილებაში, 50 მეორეში, 35 მესამეში და 35 მეოთხეში. მოსწავლეებში მოსწავლეთა რიცხვს უნდა დაემატათ ოცი უმაწვილი, რომლებიც იმყოფებიან გემინაზიის პირველ კლასში, მასწავლებელთა რიცხვს შეადგენს ჩვენი სკოლაში 170 უმაწვილი. ყველა ესენი კეთილმანერად უნდა გარდა ერთი სომხისა, საწმინდოებით არიან მართლ-მადიდებლები, გარდა ორის უმაწვილისა, რომელთაგან ერთი გრიგორიანი და მეორე მამადიანი. სამსახურის პირობა ამ წელიწადში იყვნენ

სულ 12: ერთი ინსპექტორი, ორი მასწავლებელი, ხუთი დროებით მასწავლებელი, ორი აღმწველი ქალი, ერთი ფურცლები ქალი (კონომკა) და ექვსი. მოსამზადებელ პირველ და მეორე განყოფილებაში ამ წელიწადში მიღებულა სწავლის კლასური სისტემა, ე. ი. ოპორტუნულ განყოფილებას თავისი მასწავლებელი ჰყავს და ამას აქვს მინდობილი ყველა საგნების სწავლება; მოხლოდ მესამე და მეოთხე განყოფილებაში საგნების სწავლის სისტემა: ერთი მასწავლებელი ერთ საგანს ასწავლის, მეორე-მეორე საგანს და სხ. თანხმად საზოგადოებას გადაწყვეტილებისა, რომელიც 1879 წ. მოხდა, განუბოთი განსხვავებებისა, მათი სულიერ ნიჭიერებისა ვარჯიშობა დაფუძნებულია თავდაპირველად დედა-ენაზე და ამ ენაზე ბავშვები სწავლობენ საგნებს პირველ სამ განყოფილებაში. რუსულის ენის სწავლება პრაქტიკული ბაზის შემწეობით იწყობა პირველ განყოფილებაში წლის უკანასკნელ თვეებში; რუსულის ენის წეს-კითხვის სწავლება კი იწყობა მეორე განყოფილებაში, მეოთხე განყოფილებაში რუსულ ენაზე იმეორებენ უმაწვილები ყველა საგნებს, რომლებიც განსწავლეს კვანძების დატერა საშუალო სასწავლებლების პირველ კლასში შესასწავლად. რა კეთილი ნაყოფი უნდა მოიტანოს ამ გვარად დაფუძნებული სწავლის სქემა, თუ მასწავლებლები აღჭურვილნი იქნებიან პედაგოგიურ გამოცდილებით და სწავლით, ეს სომ ყველასათვის ცხადია ჩვენს დროს.

(შემდეგი იქნება).


განსხვავებული

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

შეღარიტ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
— 1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— 1—20	— 1—60
— 1—40	— 1—80
— 1—60	— 2—
— 1—80	— 2—50
საუკეთესო 2—	— 3—

იქვე ისევე სხვა საქონელიც: თრფები, რეკლამები, კრატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი, შოკოლადი, კაჭკა, კანფეტები, მურაბები, მაგუნა, უნაზირები, გლეიონა, წინდები—გაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კაღები—სულ ყველაფერი 25-დან 50 პრცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდე საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—93)



ინგლისური ჩინის კრავოტაში ერთ საწოლისანი 8 მ. და ორ საწოლისანი 14 მ., ღებები გატენილი ზღვის

ზღვისათ 5-დგან—9 მან. ინგლისურს მალაზიაში. იქვე ასევე 25% იაფად სანამ სხვაგან საღებო: ჭურჭელი, ღებ-ჩანგალი, კოვზები, ფადონები, კლიტები, საფანგები, რეინის კაღები, ქაღალდი, ნიშები, რეკლამები, თრფები, გაცის და ქალის უნაზირები, ალბომები, გლეიონები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—78)

ინგლისის მაღაზიაში


თიხა-ნაოჯახანი  **შავ-მასპერი**

ამაგრებს თმას და აღინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუბისა 2 მან., გაგზავნილი 2 მანეთი და 28 კაპ. (100—92)

იქვე ისევე ქინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტები თავის ტუპილის მოსასპობლად, ტუპილის საზონი, ღებები და სხვ.

უკალერები

აუარებელი და ისევე ქარხნის ფასებით ძმათა ტარნოპოლების ქარხნის აღდის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ. ნარდათ მიიღვეთ დათმობათ. (40—24)

საკლავო  **კალმები**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთადერთი საკლავო—ინგლისის მალაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გარისა კალმები, ყოველს „ხელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან იქვე: მელანი, ქაღალდი, კანფეტები, რეკლამები, ღებები, გასაღები, პენალი, კაღები, ბუმაწიბები. პრეტსიგარები, ალბომები, რამები, მაკრატლები, სამართლები, ხანთელი, საღესი, წამლები ჭურჭლების საწმინდე (ბორაკის), თეთრულისათვის, მატარა ხალები იატაკისათვის კლიონები. ტასტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბუნებური, ხარები, ბინკლები რეკლამები, ვატერპასები, მხის-სათები, კომპასები, ტრემომეტრები, მქვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ზომიერი, ქამრები, სარტყლები. საყლეური, პრობები, სპრობები, კრანები, ფილტრები, შხოტები თავის. ტანისამოსის, ცხენის და მატენტიანი მაკინტოშები, კრავები, საყვიმო ქაღალდი კატერ-გლარეტისათვის და სხვ. და სხვ. (100—30)

პატაშვი—20 კ.

მანანა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებან თბილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 თიბათვიდამ 15 თიბათვიდამის. გამომცხვარი შური ხორბლის ფქვილის: პირველის ხარისხის—1 გირ. 5 1/2 მუარის — 1 გ. 4 კ. იმავე ფქვილ. თორნიეში გამომცხვარი: პირველის ხარისხის—1 გ. 5 1/2 მუარის — 1 გ. 4 1/2 ჯვარის-მამის შური: პირველი ხარის. ღავში 1 გ. 5 1/2 მუარის ხარის. ღავში 1 გ. 4 1/2 მრახის ხორცი: პირველის ხარისხის—1 გ. 8 კ. მეორის — 1 გ. 7 კ. სუკა — 1 გ. 15 კ. ცხურის ხორცი — 1 გ. 9 კ.

თბილისიდან ხაშურამდე

2 საათ. და 54 წამ. შუალდის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 1 საათზედ და 1 წამ. ლამისა. ბაქოდგან თბილისისკენ — 9 საათზედ დილისა. რიონიდან თბილისისკენ 2 საათზედ და 30 წამ. ნაშუალდეს. ბათუმიდან თბილისისკენ 9 საათ. დილისა. ფოთიდან თბილისისკენ 9 საათ. და 41 წამ. დილისა. ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 12 საათზედ ლამისა. ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 8 საათ. და 46 წამ. დილისა.

რეინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 9 საათზედ და 46 წამ. დილით.